**საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტო**

**ს/კ 202178927**

**Legal Entity of Public Law**

**SOCIAL SERVICE AGENCY**

KA030455367759419

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049


**№ 04/7023** **12 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ქალბატონ მარინა დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტი ახორციელებს დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევების შერჩევით შემოწმებას (კონტროლი).

უკვე დასრულებული შემოწმების შედეგად, დადასტურებულია, მიმწოდებლის მხრიდან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის ფაქტები, მათ შორის, განმახორციელებელთან წარმოდგენილ ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში და სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდულში (ელექტრონული ჯანდაცვა) დაფიქსირებული მონაცემები საანგარიშგებო თვის განმავლობაში ჩატარებული ჰემოდიალიზის სეანსების რაოდენობის შესახებ არ ედრება მიმწოდებელთან არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ მონაცემებს. კერძოდ, განმახორციელებელთან წარმოდგენილ ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში და სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდულში (ელექტრონული ჯანდაცვა) დაფიქსირებულია, რომ საანგარიშგებო თვის განმავლობაში ჩატარებული ჰემოდიალიზის სეანსების რაოდენობა შეადგენს 10-ს, ხოლო მიმწოდებელთან არსებული სამედიცინო დოკუმენტაციით ჩატარებული ჰემოდიალიზის სეანსების რაოდენობა შეადგენს 9-ს, შესაბამისად, მიმწოდებელს ზედმეტად მიღებული აქვს ერთი სეანსის ღირებულება.

გთხოვთ, თქვენს პოზიციას, ანალოგიური დარღვევების შემთხვევაში, მიმწოდებლის პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N308, 30.12.15წ., N660, 30.12.15წ., N638, 30.12.16წ., N592, 28.12.17წ.) დამტკიცებული ყოველწლიური "ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების" შესაბამისი მუხლების თანახმად, განისაზღვროს მხოლოდ ერთი სეანსის ღირებულების უკანდაბრუნებით და დამატებითი ფინანსური სანქციით - სეანსის ღირებულების 10%-ი, თუ საანგარიშგებო თვის განმავლობაში, კონკრეტულ პაციენტზე მიღებული თანხის უკან დაბრუნებით და ჯარიმის სახით ამ თანხის 10%.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თენგიზ აბაზაძე